სრულიადსაქართველოს

VII კონკურს-ფესტივალი

„ქართული საგალობლები“

დებულება

კონკურს-ფესტივალი გაიმართება

საქართველოსკათოლიკოს-პატრიარქის

მცხეთა-თბილისისმთავარეპისკოპოსის,

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისმიტროპოლიტის,

უწმინდესისა და უნეტარესის

ილია მეორის

ლოცვა-კურთხევით

საჩხერე

2023 წელი

დაარსებიდან 25 წელი

კონკურს-ფესტივალის მიზანი

კონკურს-ფესტივალის მიზანია, წარმოაჩინოს საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე უძველესი ქართული კანონიკური საგალობლების აღორძინების პროცესი, ხელი შეუწყოს მათი სიწმიდის დაცვას და ღვთისმსახურებაში დამკვიდრებას.

პროექტი ამართლებს მაღალ მიზანდასახულებას. ამის დასტურია 25 წლის მანძილზე საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა–კურთხევით ბრწყინვალედ ჩატარებული რეგიონული და შემდეგ უკვე სრულიად საქართველოს ფესტივალები: 1998 წლის 15 ოქტომბერი (იმერეთის რეგიონული), 2001 წლის 17-18 სექტემბერი, 2005 წლის 30-31 ოქტომბერი, 2007 წლის 24-25 სექტემბერი, 2012 წლის 16-17 ივლისი, 2015 წლის 9-10 ნოემბერი, 2018 წლის 3-4 ნოემბერი... წარმატებით ჩატარებული პირველივე ფესტივალი გახდა სწორედ საფუძველი საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცემული სპეციალური ბრძანებისა - ქართული გალობის ფესტივალის ტრადიციულად დაფუძნების თაობაზე.

წლევანდელი კონკურს-ფესტივალის მნიშვნელობას ხაზს უსვამს საიუბილეო თარიღიც - სრულდება 25 წელი მისი დაარსებიდან. პირველი ფესტივალიდან მოყოლებული, როცა ჯერ კიდევ გარიჟრაჟი იყო ქართული კანონიკური გალობის აღდგენისა, ბევრი რამ შეიცვალა ქართულ სინამდვილეში: გამრავლდა მგალობელთა გუნდები, რომლებიც სხვადასხვა ტაძარში ღვთისმსახურებას ტრადიციული გალობით ამშვენებენ; ამას გარდა, დაარსდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის ქართული გალობის უმაღლესი სასწავლებელი, რომლის კურსდამთავრებულები ამ საქმის პროფესიონალები არიან და აქტიურად ზრუნავენ ქართული გალობის დამკვიდრება-აღორძინებისათვის... ამიტომაც, სპეციალისტების რჩევით, წელს ფესტივალი მიიღებს კონკურსის სახეს, რაც, ვფიქრობთ, უფრო გაზრდის მონაწილეთა დაინტერესებას და ხელს შეუწყობს საშემსრულებლო დონის ამაღლებას.

კონკურს-ფესტივალის პირობები

კონკურს-ფესტივალში მონაწილეობის უფლება აქვთ საეკლესიო გუნდებს (ეპარქიის მღვდელთმთავრის ლოცვა კურთხევით), ასევე, კულტურის დაწესებულებებთან არსებულ კანონიკური გალობის შემსრულებელ მომღერალთა ანსამბლებს, რომელთაც რეპერტუარში აქვთ ქართული კანონიკური საგალობლები. მონაწილეთა ასაკი შეუზღუდავია.

კონკურს-ფესტივალზე იმუშავებს ეთნომუსიკოლოგებისა და საეკლესიო მუსიკის სპეციალისტთაგან შემდგარი კომპენტენტური **ჟიური.**

კონკურს-ფესტივალი გაიმართება **ორ ტურად:**

პირველი - შესარჩევი ონლაინ ტური (აუდიო // ვიდეო ჩანაწერების განხილვა). მონაწილეებმა მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე საორგანიზაციო კომიტეტში უნდა გამოგზავნონ აუდიო // ვიდეო ჩანაწერი, რომელსაც შეაფასებს და შეარჩევს სპეციალისტთა ჯგუფი.

თითოეული გუნდისათვის სავალდებულოა 3 საგალობელი (სასურველია სხვადასხვა კილო, ან - სამივე იმ მხარისთვის ტრადიციული. მაგალითად, გურიასა და იმერეთში - შემოქმედის ან გელათის სკოლის, აღმოსავლეთ საქართველოში - კარბელაანთ კილოსი და ა. შ.).

მეორე - საკონკურსო ტური - გაიმართება საჩხერეში. მასში მონაწილეობას მიიღებენ პირველ ტურში გამარჯვებული გუნდები. ამ ტურზე დასასწრებად მოწვეული იქნებიან ის რეგენტიებიც რომელთა გუნდებიც პირველ ტურში მონაწილეობდნენ და არ შეირჩნენ მეორე ტურისთვის.

საპრიზო ადგილების მფლობელთათვის და საუკეთესო რეგენტისთვის დაწესებულია ფულადი პრიზები.

კონკურს-ფესტივალის მონაწილეებს, ორივე დღეს, ქართული კანონიკური გალობის თეორიასა და შემსრულებლობის საკითხებზე მასტერკლასს ჩაუტარებენ პროფესიონალი სპეციალისტები. გაიმართება კონფერენცია ქართული კანონიკური გალობის თემაზე.

დაგეგმილია სხვა აქტივობებიც (მათ შორის ქართული საეკლესიო ღვინის დღე).

კონკურს-ფესტივალის მიმდინარეობა და ვადები

ფესტივალის მომზადება–ჩატარების სამუშაოების პერიოდი: 2023 წლის მაისი-ოქტომბერი.

პირველი ტური (ონლაინ) – 2026 წლის 15 მაისი-20 სექტემბერი: აუდიო//ვიდეო ჩანაწერების მოსმენა და შერჩევა.

მეორე ტური - 2023 წლის 10-11ოქტომბერი, საჩხერე. მასში მონაწილეობას მიიღებენ პირველი ტურიდან შერჩეული გუნდები. ფესტივალი, ტრადიციულად, გაიხსნება სადღესასწაულო პარაკლისით საჩხერის წმინდა ნინოს საკათედრო ტაძარში, 10 ოქტომბერს, 11 საათზე, და გაგრძელდება საჩხერის კულტურის ცენტრში.

კონკურს-ფესტივალის მსვლელობა ჩაიწერება სტუდიურად და შერჩეული ნიმუშები მოგვიანებით გამოიცემა მცირე ფორმატის ბუკლეტთან ერთად.

კონკურს-ფესტივალის ორგანიზატორები

- ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია
- ა(ა)იპ "ქართული საგალობლების ფესტივალი"
- საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია
- მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრულ საქმეთა სამსახური
- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
- საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
- საქართველოს საპატრიარქოს გალობის ცენტრი

დაარსებიდან 25 წელი

კონკურს-ფესტივალის ხელმძღვანელობა

კონკურს-ფესტივალის მოსამზადებლად და ჩასატარებლად იქმნება **საორგანიზაციო კომიტეტი,** რომლის შემადგენლობაში შედიან კონკურს-ფესტივალის ორგანიზატორი დაწესებულებების წარმომადგენლები.

საორგანიზაციო კომიტეტი:

- ამტკიცებს კონკურს-ფესტივალის დებულებასა და რეკლამების, აფიშების, პროგრამების, დიპლომების, სიგელების ნიმუშებს;
- უზრუნველყოფს კონკურს-ფესტივალის მზადებისა და მიმდინარეობის გაშუქებას საინფორმაციო საშუალებებით;
- უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ცვლილებები შეიტანოს წინამდებარე დებულებაში.

კონკურს-ფესტივალის ფინანსური უზრუნველყოფა

- საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია
- შპს „ავერსი ფარმა“ და სხვა სპონსორები

საინფორმაციო მხარდაჭერა

- ტელეკომპანია "საზოგადოებრივი მაუწყებელი"
- ტელეკომპანია "იმერვიზია"
- საპატრიარქოს ტელევიზია "ერთსულოვნება"
- რადიო "პირველი"
- გაზეთი "მოდინახე"
- გაზეთი "სიმები" (სპეციალური გამოშვება)

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობისკულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

თავისუფლების ქუჩა N 4

მობ: 5(99) 163017; 5(51) 820822– ლია ვეშაპიძე - ფესტივალის დირექტორი

ელფოსტა:festivalisagaloblebi@gmail.com